საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/264-18

„26" 01 2018 წ

შპს „ბრაო სატს"

შეტყობინება

გატყობინებთ, რომ 2018 წლის 25 იანვარს ჩანიშნული სხდომა გადაიდო, ვინაიდან კომისიის 2018 წლის 17 იანვრის N03/179-18 შეტყობინება ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე შპს „ბრაო სატს" არ ჩაბარდა. შესაბამისად, გაიმართება 2018 წლის 1 თებერვალს, 15:00 საათზე, მისამართზე: 0144 ქ. თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. N50/18. საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია") სხდომაზე განიხილება შპს „ბრაო სატისთვის" ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ" კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2018 წლის 16 იანვრის N შ-10/248-18 სამსახურებრივი ბარათი და კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 08 ინავრის N შ-10/101-18 მოხსენებითი ბარათი).

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, შპს „ბრაო სატს" უფლება აქვს კომისიას წარუდგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოს ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2018 წლის 16 იანვრის N შ-10/248-18 სამსახურებრივი ბარათი - 1 ფურც.;
2. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 08 იანვრის N შ-10/101-18 მოხსენებითი ბარათი თანდართული დოკუმენტაციით - 1 ფურც.;
3. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან და კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან შპს „ბრაო სატის" შესახებ;

კომისიის აპარატის ადმინისტრაციის უფროსი

იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის აპარატის სამართლებლივი
დეპარტამენტის წამყვამ სპეციალისტს

თამარ გოშუას

ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული
გაწვითარების დეპარტამენტის წამყვანი
სპეციალისტის

თამარ მარღანიას

სამსახურებრივი ბარათი

ვაცნობებ, რომ ავტორიზირებული პირი შპს "ბარაო საუს" 2018 წლის 16 იანვრის შეგეგმილ [illegible] ფარგლებით წარმოსადგენი აქვს 2017 წლის ოქტომბრისა და ნოემბრის სტატისტიკური ინფორმაციის ფორმები.

პატივისცემით,

თამარ [illegible]

[illegible]/11

[illegible] №10/298.8
[illegible]

ქ-ნ ნ. ჭახრაკიას

ეთხოვთ უზრუნველყოთ შესაბამისი
რეაგირების ორგანიზება

ჯ. ბექაური
08.01.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული რიგი ავტორიზებული/ლიცენზირებული პირები არ ასრულებენ კანონისმიერ ვალდებულებებს, კერძოდ, გადასახდელი აქვთ რეგულირების საფასური და არ წარმოადგენენ რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1.9 ფორმას:

N	დასახელება	რეგულირების საფასურის დავალიანება (ლარი)	რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმა 1.9 წარმოუდგენლობა
1	[redacted]	[redacted]	
2	შპს [redacted]	[redacted]	
3	შპს [redacted]	[redacted]	2017 წლის ნოემბერი
4	შპს [redacted]	[redacted]	2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი
5	შპს ბრაო სატ-104505530	218,00	2017 წლის ოქტომბერი, ნოემბერი
6	შპს [redacted]	[redacted]	2017 წლის ნოემბერი
	სულ	19 796,06	

ეთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი 7 ფურცელი.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი
08/01/2018

08 01 2018

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B17070864, 06/07/2017 15:28:02

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ბრაო სატ
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	404505530
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი:	22/12/2015
მარეგისტრირებელი ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, უზნაძის ქ., № 87
დამატებითი ინფორმაცია:	
ელ. ფოსტა:	info@braosat.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი.

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - 01006003393, ალექსანდრე ოჩიგავა

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
N3542248, , ბორის როიტბლატ, ავსტრალია	100%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

გირავნობა

რეგისტრირებული არ არის

ყადაღა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

- გირავნობა/ლიზინგის რეესტრი: R16013962 25/03/2016 18:00:06

  კრედიტორი : შპს ტრიდე უძრავი ქონება (საქართველო) 402028186

  მესაკუთრე : შპს ხრაო სატ (საქართველო) 404505530

  საგანი: არაიდენტიფიცირებადი მომრავი ნივთი : მომრავი ქონება (იხილეთ სარეგისტრაციო დოკუმენტი)

  საფუძველი: სესხისა და გირავნობის ხელშეკრულება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, 25.03.2016

მოვალეთა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ამოწაწერი ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრიდან

ორგანიზაციის სახელწოდება:	**შპს ბრაო სატ**
ორგანიზაციის საგადასახადო კოდი:	404505530
მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები:	22/12/2015, N404505530, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
ავტორიზაციის თარიღი:	28/12/2015

ელექტრონული კომუნიკაციების ქსელებითა და **საშუალებებით უზრუნველყოფისა და/ან მომსახურების** მიწოდების სახეები და მათი მოკლე აღწერილობა

A.F.1 ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

კოაქსიალური (საკაბელო) ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.2 ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

B.F.4 მაუწყებლობის ტრანზიტი

ტელემაუწყებლობის ტრანზიტი

ამობეჭდვის თარიღი
15/01/2018, 12:50

ხელმოწერა _____